



20/01/2026



MES 8 26 0000041064

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ხელოვნური ინტელექტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის „მეტწილად შესაბამისობა“ განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის მე-7¹ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის №888798 (ცვლილება ბრძანებაში №1138217, 15/09/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო; "მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო; "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო; "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო; "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო; "მონაცემთა მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო; "ხელოვნური ინტელექტის" სამაგისტრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

1.2 კომპონენტში ამოიღო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ შედეგები მკაფიოდ მოიცავდეს ახალი AI გადაწყვეტილებების შექმნას და მათი ეთიკური და სოციალური გავლენების შეფასებას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისა და ICT-ის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად“.

2.1 კომპონენტში შემდეგი რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში: „რეკომენდებულია გააუმჯობესოთ სწავლება ეთიკისა და მდგრადი განვითარების სპეციალური მოდულებით, რათა ისინი შეესაბამებოდეს პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის/მონაცემთა მეცნიერების მიზნებს" - რჩევაში გადავიდა შემდეგი სახით - „სასურველია, გააუმჯობესოთ სწავლება ეთიკისა და მდგრადი განვითარების სპეციალური მოდულებით, რათა ისინი შეესაბამებოდეს პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის/მონაცემთა მეცნიერების მიზნებს."

რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, გაზარდოთ დამსაქმებლის/დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შედეგების დამოწმებაში, რათა დაადასტუროთ მათი შესაბამისობა მოწინავე პროფესიულ როლებთან" - გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, გაზარდოთ დამსაქმებლის/დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შედეგების დამოწმებაში, რათა დაადასტუროთ მათი შესაბამისობა მოწინავე პროფესიულ როლებთან.

2.3 კომპონენტში შემდეგი რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში: „რეკომენდებულია, ყველა საგანში მოახდინეთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისა/ შემთხვევის ანალიზის ინტეგრირება (მაგ., დიდი მონაცემების ანალიტიკა) პროგრამის სწავლის შედეგი 1, 3 და 4-ის უზრუნველსაყოფად“ გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, ყველა საგანში მოახდინეთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისა/ შემთხვევის ანალიზის ინტეგრირება (მაგ., დიდი მონაცემების ანალიტიკა) პროგრამის სწავლის შედეგი 1, 3 და 4-ის უზრუნველსაყოფად“.

„რეკომენდებულია, დაწეროთ cloud-ზე დაფუძნებული (დრუბლოვანი) პლატფორმები (მაგ., Google Colab, AWS Educate) ვირტუალური ლაბორატორიებისთვის პროგრამის სწავლის შედეგი (PLO) 1-ისა და 2-ის უზრუნველსაყოფად გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, დაწეროთ cloud-ზე დაფუძნებული (დრუბლოვანი) პლატფორმები (მაგ., Google Colab, AWS Educate) ვირტუალური ლაბორატორიებისთვის პროგრამის სწავლის შედეგი (PLO) 1-ისა და 2-ის უზრუნველსაყოფად“.

„რეკომენდებულია, შექმნათ ონლაინ PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების) მოდულები, რათა დისტანციური სწავლების პირობებშიც უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა ჩართულობა. / რეკომენდებულია, დისტანციურად ჩართულობის შესანარჩუნებლად, შეიმუშავოთ ონლაინ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდულები. გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, შექმნათ ონლაინ PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების) მოდულები, რათა დისტანციური სწავლების პირობებშიც უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა ჩართულობა. / რეკომენდებულია, დისტანციურად ჩართულობის შესანარჩუნებლად, შეიმუშავოთ ონლაინ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდულები“.

3.2 კომპონენტში შემდეგი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში: „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ხელმძღვანელებმა სტუდენტებს გაუწიონ მკაფიო ინსტრუქტაჟი და მხარდაჭერა ბიბლიოთეკის რესურსებისა და სამეცნიერო სტატიების ეფექტიანად გამოყენებაზე. გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ხელმძღვანელებმა სტუდენტებს გაუწიონ მკაფიო ინსტრუქტაჟი და მხარდაჭერა ბიბლიოთეკის რესურსებისა და სამეცნიერო სტატიების ეფექტიანად გამოყენებაზე“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ხელოვნური ინტელექტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 29 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო, "მონაცემთა მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" სამაგისტრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 20 იანვრის სხდომის №41009 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მიზნების ხელახა ფორმულირება, რომ ხაზი გაესვას პროგრამის შესაბამისობას ხელოვნური ინტელექტის ეროვნულ პრიორიტეტებთან და ასევე მის წვლილს ეკონომიკაში, საზოგადოებასა და ინოვაციურ ეკოსისტემაში, ტექნიკური სრულყოფილების გაძლიერებასთან ერთად (კომპონენტი 1.1).
- რეკომენდებულია, ხელახლა ჩამოაყალიბოთ პროგრამის მიზნები იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს კურსდამთავრებულთა გრძელვადიან მიზნებს (დამთავრებიდან 3-5 წლის შემდეგ) და არა მხოლოდ მყისიერი დასაქმების პერსპექტივას. (კომპონენტი1.1)
- რეკომენდებულია, ეთიკა, სოციალური პასუხისმგებლობა და უწყვეტი სწავლის პრინციპები მკაფიოდ ინტეგრირდეს ყველა პროგრამის მიზნებში და არა მარტო სწავლის შედეგებში. (კომპონენტი1.1)
- რეკომენდებულია, მიზნები იყოს უფრო კონკრეტული და გაზომვადი, განსაკუთრებით საბაკალავრო დონეზე, რათა ნათლად განისაზღვროს მოსალოდნელი კომპეტენციის დონეები.(კომპონენტი1.1)

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამების ამბიცია და ხაზი გაესვას ინოვაციას, ლიდერობას გუნდურ მუშაობას, კომუნიკაციის უნარს, სამეწარმეო უნარებს და საერთაშორისო კომუნიკაციას. (კომპონენტი 1.1)
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს მტკიცებულება იმისა, თუ როგორ აისახება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა მხარეების შეხედულებები პროგრამის მიზნების ფორმულირებასა და პერიოდულ განხილვებში. (კომპონენტი 1.1)
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახლა ფორმულირება ისე, რომ ხაზი გაესვას ხელოვნური ინტელექტის სფეროში კომპეტენციების შეფასებას/შექმნას, მათ შორის პასუხისმგებლიან ხელოვნურ ინტელექტსა და ლიდერობას ინოვაციებში (კომპონენტი 1.2).
- რეკომენდებულია, შეფასებები უფრო პირდაპირ შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს, გაიზარდოს პროექტებზე დაფუძნებული სამუშაო, უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრულობა ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს შორის. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, ხელახლა ჩამოაყალიბდეს სწავლის შედეგები, რათა ისინი ასახავდეს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილ კოგნიტიურ დონეებს (კომპონენტი 1.2)

- ბაკალავრიატი (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე): რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ცალსახად მოიცავდეს გამოყენებას/ანალიზს (ბლუმის ტაქსონომიის დონეები 3–4).

- მაგისტრატურა (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე): რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ცალსახად მოიცავდეს შეფასებას/შექმნას (ბლუმის ტაქსონომიის დონეები 5–6). ამჟამად, ბევრი მათგანი ფორმულირებულია „იცის/აღწერს“ დონეზე (ბლუმის 1–2), რაც არასაკმარისია.

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში მკაფიოდ ინტეგრირდეს ეთიკა, სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადობა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა - არა მხოლოდ ზედაპირულად. დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს რომ კურსდამთავრებულებმა წარმოაჩინოს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ავტონომია და უწყვეტი პროფესიული განვითარება. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმების რუკებში ყველა ძირითადი პროგრამული სწავლის შედეგი (მაგ: ალგორითმები,, IT-ის საფუძვლები, მონაცემთა მეცნიერების ციკლი, კიბერუსაფრთხოება, IT ინფრასტრუქტურა) პროგრამის დასასრულს აჩვენებდეს მაქსიმალურ დონეს(3- დაუფლება) და არ დარჩეს შეზღუდულ დონეზე (2- გაღრმავება. მეორე დონე არ აკმაყოფილებს დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც მოითხოვს ბაკალავრის დონეზე“გამოყენება/ანალიზს“ და მაგისტრის დონეზე“შეფასება/ შექმნას“ (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, დასაქმების შესაძლებლობებისა და ტრანსფერული უნარების (გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, მეწარმეობა, ლიდერობა, ინოვაცია) გაძლიერება. ყოველივე აღნიშნული ნახსენებია, მაგრამ ნაკლებად არის გავრცობილი, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონეზე. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, განათლების საფეხურებს შორის სწავლის შედეგების უფრო ნათლად დიფერენცირება:

- საბაკალავრო პროგრამებმა ხაზი უნდა გაუსვან ფუნდამენტურ და გამოყენებით კომპეტენციას;

- სამაგისტრო პროგრამებმა ხაზი უნდა გაუსვან დამოუკიდებელ კვლევას, ორიგინალურობას, ლიდერობას და ინტერდისციპლინარული პრობლემების გადაჭრის უნარს. (კომპონენტი 1.2)

- რეკომენდებულია, რომ პროექტისა და ნაშრომის შეფასებები ცალსახად მოიცავდეს სტუდენტების უნარს, შექმნან, განახორციელონ და კრიტიკულად შეაფასონ ხელოვნური

ინტელექტის მოდელები, ეს მოიცავს შესრულებას, შეზღუდვებს და ახსნა-განმარტებებს (კომპონენტი 1.3).

- რეკომენდებულია, რომ გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტის პროექტებსა და ნაშრომებში დაამატოთ კონკრეტული შეფასების კრიტერიუმი პასუხისმგებლიანი AI-სთვის (სამართლიანობა, გამჭვირვალობა, კონფიდენციალობა, საზოგადოებრივი გავლენა), რომ ეთიკური და სოციალური განზომილება თვალნათლად შეფასდეს (კომპონენტი 1.3)
- რეკომენდებულია, შეფასებები უფრო პირდაპირ შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს, გაიზარდოს პროექტებზე დაფუძნებული სამუშაო, უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრულობა ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს შორის.(კომპონენტი 1.3)
- რეკომენდებულია, შეწყდეს პროგრამის შედეგების მიღწევის დასტურად ადრეული კურსების ქულების გამოყენება; რეკომენდებულია პირდაპირი, პროგრამის დონეზე განხორციელებული შეფასებების გამოყენება.კერძოდ:

– ბაკალავრიატისთვის: სტაჟირების შეფასებები, ბოლო კურსის პროექტები/ლაბორატორიული სამუშაოები და პორტფოლიოები;
– მაგისტრატურისთვის: სამაგისტრო ნაშრომები და კვლევითი/პროექტული მოდულები (კომპონენტი 1.3).

- რეკომენდებულია, შეფასების ზღვრული მაჩვენებლების გაზრდა და ყველა კურსდამთავრებულის მიერ შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, კერძოდ, შეფასების ზღვრის იმგვარად ამაღლება, რომ ყველა კურსდამთავრებულმა ნათლად დაადასტუროს პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგებით განსაზღვრული მინიმალური საბაზისო კომპეტენციების მიღწევა და არა მხოლოდ სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა (კომპონენტი 1.3).
- რეკომენდებულია შეფასების მეთოდების დივერსიფიცირება: ყველა პროგრამაში პროექტების, ლაბორატორიული სამუშაოების, შემთხვევის ანალიზების და დამსაქმებლების მიერ ვალიდირებული დავალებების ინტეგრირება (კომპონენტი 1.3).
- რეკომენდებულია მარეგულირებელი და სექტორული განახლებების უწყვეტი მონიტორინგი და პროგრამის დოკუმენტაციის განახლება (კომპონენტი 1.3).
- რეკომენდებულია გამავითარებელი შეფასების გაფართოება (თანატოლთა შეფასება, განმეორებითი უკუკავშირი). რეკომენდებულია, შესრულების მინიმალური ზღვრების ამაღლება დაუფლების უფრო მაღალ დონემდე (კომპონენტი 1.4).
- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გაძლიერება ხელოვნური ინტელექტის ეთიკის/რეგულირების შესახებ მოდულებით. რეკომენდებულია, რომ სადიპლომო ნაშრომებსა და ფინალურ პროექტებში მკაფიოდ შეფასდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემების ორიგინალობა და შექმნა (კომპონენტი 1.4).
- რეკომენდებულია, ეთიკის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის შინაარსში ინტეგრირება: დაემატოს სპეციალური კურსები (მაგ., „პასუხისმგებლობით გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი“, „ICT ეთიკა“, „მდგრადი კომპიუტინგი“), მაგრამ ისინი არ უნდა ჩაითვალოს მეორეხარისხოვან ან დამატებით კომპონენტებად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამებისთვის. (კომპონენტი 1.4)
- რეკომენდებულია პროგრამის დასრულების ეტაპის კომპონენტების გამოყენება კომპეტენციის დაუფლების ძირითად მტკიცებულებად: ბაკალავრიატის პროგრამებში სტაჟირება და ბოლო კურსის პროექტები/ლაბორატორიული სამუშაოები, ხოლო მაგისტრატურის პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტები და სამაგისტრო ნაშრომები, სასწავლო გეგმის რუკებში უნდა წარმოადგენდეს პროგრამის სწავლის შედეგების დაუფლების დემონსტრირების ძირითად საშუალებებს (კომპონენტი 1.4).

- რეკომენდებულია პროგრამის დასრულების ეტაპის კომპონენტებისთვის სტანდარტიზებული რუბრიკების გამოყენება: აღნიშნული კომპონენტებისთვის უნდა შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას სტანდარტიზებული რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ აფასებს გამოყენებით კომპეტენციას, ორიგინალურობას, ინტერდისციპლინარობას და შესაბამის NQF დონეზე მიღწეულ შედეგებს (კომპონენტი 1.4).
- რეკომენდებულია ახალი პროგრამების განხორციელების მონიტორინგი: ვინაიდან რვა პროგრამიდან ხუთი ახალია და ჯერ კურსდამთავრებულები არ ჰყავს, უნდა ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმი, რათა პირველმა ნაკადებმა სწავლის მიმდინარეობისა და დამთავრების შემდეგ დადასტურდეს, რომ პროგრამის სტრუქტურები უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას (კომპონენტი 1.4).
- რეკომენდებულია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების უფრო ძლიერი მონიტორინგის შემუშავება, რათა დადასტურდეს მათი კომპეტენციების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია, რომ სიღრმისეული სწავლების, NLP-ისა და CV-ის კურსები მოიცავდეს სწავლის შედეგებს შექმნის/ორიგინალობის დონეზე (ბლუმის 6).
- რეკომენდებულია, ხელოვნური ინტელექტის ეთიკისა და რეგულირების თემების გაძლიერება დამოუკიდებელი კურსით ან სავალდებულო მოდულით (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია განახლდეს წყაროები: Goodfellow (2016)-ის გარდა დაემატოს უახლესი კვლევები (2019-2023) (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია კურსების სწავლის შედეგების კოგნიტური დონის ამაღლება: რეკომენდებულია, უზრუნველყოთ, რომ კურსის სწავლის შედეგები არ შემოიფარგლოს “იცის/ აღწერს” ფორმულირებებით და ღიად მიაღწიოს ბლუმის მე-3 (გამოყენება), მე-4 (გაანალიზება) დონეებს ბაკალავრიატში, ხოლო ბლუმის მე-5–6 (შეფასება, შექმნა) დონეებს მაგისტრატურაში (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკებში კომპეტენციის სრულფასოვანი დაუფლების უზრუნველყოფა: რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკებში ძირითადი კომპეტენციები არ დარჩეს “2 – გაღრმავების” დონეზე; ყოველი კრიტიკული კომპეტენცია (ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტი, IT ინფრასტრუქტურა, კიბერუსაფრთხოება, მანქანური სწავლა) პროგრამის დასრულებისას უნდა იყოს დადასტურებული “3 – დაუფლების” დონეზე. (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია პრაქტიკაზე დაფუძნებული და ავთენტური სწავლების გაძლიერება: გამოცდებზე გადამეტებული ორიენტაციის მქონე მოდელებიდან გადასვლა ლაბორატორიული სამუშაოების, შემთხვევის ანალიზების, კოდირების დავალებების, პორტფოლიოების და ჯგუფური პროექტების უფრო ფართო გამოყენებაზე, რომლებიც მკაფიოდ არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. თეორიისა და პრაქტიკის ბალანსის გადახედვა და ავთენტური დავალებების (ლაბორატორიები, ბოლო კურსის პროექტები, პორტფოლიოები, სტაჟირება, დამსაქმებლის ზედამხედველობით განხორციელებული პროექტები) სისტემატური ინტეგრირება მთელ სასწავლო გეგმაში და არა მხოლოდ ბოლო სემესტრზე კონცენტრირება (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია დუბლირების აღმოფხვრა და პროგრესის უზრუნველყოფა: რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსები დუბლირების/ გადაფარვის აღმოსაფხვრელად (მაგ., სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი, რომელიც სხვადასხვა კურსებში მეორდება). რეკომენდებულია იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული კომპეტენციის სფეროში შეინიშნებოდეს სირთულის პროგრესული ზრდა, ხოლო პროგრამის დასასრულს უნდა დასტურდებოდეს დაუფლების დონე. (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია ეთიკის, პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტისა და მდგრადობის ინტეგრირება: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსებში მკაფიოდ განსაზღვრული კურსის სწავლის შედეგების, სასწავლო მასალებისა და დავალებების ჩართვა

პროფესიული ეთიკის, პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტისა და მდგრადობის საკითხებზე (კომპონენტი 1.5).

- რეკომენდებულია დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირის სისტემური გამოყენება: სასწავლო სილაბუსების დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ განხილვის სტრუქტურირებული პროცესის ჩამოყალიბება, რათა კურსის შინაარსი ასახავდეს ICT ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებს (კომპონენტი 1.5).
- რეკომენდებულია, გააძლიეროთ ნაშრომების რუბრიკები ორიგინალურობისა და საზოგადოებრივი გავლენისთვის პრიორიტეტულობის მინიჭების მიზნით, რაც უზრუნველყოფს „შეფასება/შექმნის“ შედეგებს. (კომპონენტი 2.1)
- რეკომენდებულია, შემცირდეს გამოცდებზე დამოკიდებულება და შეფასების სისტემაში ავთენტური ამოცანების (პროექტები, ლაბორატორიული საქმიანობა, ნაშრომი) წილი სასწავლო კურსის ქულის მინიმუმ 60%-მდე გაიზარდოს, რათა პრიორიტეტი მიენიჭოს „შეფასება/შექმნის“ ტიპის კომპეტენციებს. (კომპონენტი 2.2.)
- რეკომენდებულია, დანერგოთ პროექტები / ლაბორატორიული სამუშაოები ყველა საბაზო საგანში (მაგ., ღრმა სწავლება) პროგრამის სწავლის შედეგი 1–3-ის მხარდასაჭერად. რეკომენდებულია, დაამატოთ „პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტისა და ეთიკის“ (6 კრედიტი) კურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგი 4-ის მიღწევა. რეკომენდებულია, ავთენტური შეფასებების წილი განისაზღვროს 60–70%-ით, ხოლო სადიპლომო ნაშრომის შეფასების რუბრიკები გადაისინჯოს ისე, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ორიგინალობასა და ეთიკას (პროგრამის სწავლის შედეგი 2, 4, 5). (კომპონენტი 2.3.)
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების კომპონენტებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს შორის უფრო პირდაპირი და ნათელი თანხვედრა. (კომპონენტი 2.4)
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხელმძღვანელისა და სტუდენტის განსაზღვრული თანაფარდობის თანმიმდევრული განხორციელება (კომპონენტი 3.2).
- რეკომენდებულია, რომ მაგისტრატურის პროგრამებს უხელმძღვანელოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციურმა, ძლიერმა პერსონალმა. (კომპონენტი 4.1)
- რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის მთავარი ხელმძღვანელები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალი იყოს. მოწვეულ და გარე ექსპერტებს შეუძლიათ იყვნენ თანამასწავლებლები ან თანახელმძღვანელები , თუმცა მთავარი აკადემიური ხელმძღვანელის როლში არ ჩაანაცვლონ აფილირებული პერსონალი. (კომპონენტი 4.1).
- რეკომენდებულია ბაკალავრიატის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ძირითად კურსებში მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე ლექტორებზე დამოკიდებულების შემცირება, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური ზედამხედველობის უზრუნველყოფით (კომპონენტი 4.1).
- რეკომენდებულია კვლევის საათების აღრიცხვა სამუშაო დატვირთვის განაწილებაში: სამუშაო დატვირთვის ცხრილებში დანერგეთ მკაფიო მექანიზმი, რათა ცალ-ცალკე აღრიცხოს აფილირებული დოქტორების კვლევის საათები (მათ შორის, დისერტაციებისა და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისთვის საჭირო დრო), რომ კვლევითი აქტივობა და ხელმძღვანელობის ძალისხმევა სათანადოდ გამოჩნდეს და დადასტურდეს 4.1 და 4.3 სტანდარტებთან (კომპონენტი 4.1) შესაბამისობა.
- რეკომენდებულია ხელმძღვანელისთვის დაბალანსებული და მდგრადი სამუშაო დატვირთვის უზრუნველყოფა: მაგისტრატურის მოქმედი ხელმძღვანელებისთვის

სასწავლო დატვირთვის შიდა ლიმიტების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო დატვირთვის ხელახლა დაბალანსება, რათა არცერთ ხელმძღვანელს არ ჰქონდეს ზედმეტად მაღალი სასწავლო დატვირთვა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი არ დაზარალდეს (კომპონენტი 4.1).

- რეკომენდებულია პერსონალის ექსპერტიზისა და დაკისრებული მოვალეობების შესაბამისობაში მოყვანა: სისტემატურად გადახედეთ და გამოასწორეთ ნებისმიერი შეუსაბამობა პერსონალის რეზიუმეებსა და სამუშაო დატვირთვის არსებულ ჩანაწერებს შორის, რომ სასწავლო დავალებები და ხელმძღვანელობის თემები შეესაბამებოდეს თითოეული პერსონალის დოკუმენტირებულ აკადემიურ და კვლევით ექსპერტიზას (კომპონენტი 4.1).
- რეკომენდებულია, რომ კვლევის საათები აღირიცხოს აფილირებული დოქტორანტების სამუშაო დატვირთვის ფაილებში, რათა დადასტურდეს განათლების ხარისხის განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობა (კომპონენტი 4.2).
- რეკომენდებულია ხელმძღვანელის სტატუსის მკაფიოდ დაკავშირება ბოლოდროინდელ პუბლიკაციებთან და მიმდინარე კვლევით პროექტებთან (კომპონენტი 4.2)
- რეკომენდებულია, რომ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამებისთვის ოფიციალურად დადასტურდეს ხელმძღვანელის ინგლისური ენის კომპეტენცია (CV, პუბლიკაციები, ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილება), რათა უზრუნველყოფილი იყოს ინტერნაციონალიზაციის მოლოდინებთან შესაბამისობა (კომპონენტი 4.2).
- რეკომენდებულია მექანიზმის შემოღება, რომელიც კვლევითი საქმიანობის საათებს ოფიციალურად აღრიცხავს სამუშაო დატვირთვის განაწილებაში, განსაკუთრებით აფილირებული დოქტორანტებისთვის (კომპონენტი 4.3).
- რეკომენდებულია საერთაშორისო მობილობასა და მოწინავე ტრენინგებში მონაწილეობის გაფართოება, რომ მკვლევართა მხოლოდ მცირე ჯგუფი არ სარგებლობდეს ასეთი შესაძლებლობებით (კომპონენტი 4.3).
- რეკომენდებულია, რომ მოწვეული პერსონალიც ჩაერთოს პედაგოგიური ტრენინგებისა და განვითარების ინიციატივებში (კომპონენტი 4.3).
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს დოკუმენტაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება ინდივიდუალურ განვითარებასა და კარიერული მხარდაჭერის გეგმებში (კომპონენტი 4.3).
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავდეს: კურსისა და შედეგების შესაბამისობის სისტემატურ აუდიტს, რათა დადასტურდეს თითოეული სტუდენტის მიერ შედეგის დაუფლების დონე; შეფასების მონაცემების ინტეგრირებას სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესში; დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების პერიოდულ ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განხილვაში (კომპონენტი 5.1).
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ეფექტიანად შეძლოს პროგრამასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია, როგორც ეს მითითებულია სტანდარტების შეფასების 1-4 ნაწილში. (კომპონენტი 5.3)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 29 დეკემბერს.

6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

